

# ლახტი





№ 3 კვირა, 23 მარტი.

გრაფი წლით ჟურნალი ღირს 2 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით 1 მან. 25 კაპ. წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდგომის ადრესით: Тифლისь. Мухранская 12, журналъ „ЛАХТИ“.

ფასი 5 კაპ.

№ 3

## მკვლელობა პარიზში



საფრანგ. ფინანსთა მინისტრი ბ. კაიო. „ფიგაროს“ რედაქტორი ბ. კალმეტი. მინისტრის მეუღლე ქ-ნი კაიო.

ამ დღეებში ქ-ნი კაიო შევიდა „ფიგაროს“ რედაქციაში და რევოლუციით მოჰკლა რედაქტორი კალმეტი. მკვლელობის მიზეზი ისა ყოფილა, რომ ბ. კალმეტს რამდენიმე წერილი დაუბეჭდია, სადაც ამხელდა: კაიო ფინანსთა მინისტრია და ამავე დროს ერთ-ერთი კერძო ბანკის დირექტორიც. მან განზრახ შეჰქმნა ბირჟაზე აურზაური რენტაზე გადასახადის დადების შესახებ და თავის ამხანაგებს საშუალება მისცა ხელი მოეხებოთ. აგრედვე გამოუმუშავენებია ბ. კაიოს წერილი მეგობრებისადმი მოწერილი და თურმე სხვა წერილების გამომუშავებასაც აპირებდა. ამ მკვლელობის გამო მთელი პარიზი ფეხზე დადგა. საღამოს 10 საათზე აუარებელი ხალხი მიაწყდა „ფიგაროს“ რედაქციას და იქიდან „კაიო-მკვლელი“-ო, ყვირილით გაემართნენ.

\*  
\*\*

(ა. ჯორჯიძის ხსოვნა.)

სამშობლო შიშის დიდის ნიაფი,  
კიდით-კიდემდე მქროლავი ვეკლავი,  
ამბავს გაბარებ მამულის შვილთან:  
შეუღას მფითხვო ჩაგრულია შენგან.

გიცი ვერაფერ ვერ შეგეგება,  
ბოროტი ძალა შენ ვერას გაგებეს,  
უხილავი ხარ სოფელ-შეუსმელო;  
ამისთვის განდობ ჩემს გულს დარდებს.

მოსძებნე გმირო, შეუბოვარა,  
წმიდა ალაგას, წმიდა მხარეს,  
სამშობლოსთვის თავ-განწირული,  
ესლა მდუმარე ცივ სამარესა.

და თუ იზოვო წმიდა საფლავი,  
მომშეთა შორის მიუხეხებელი,  
ესმორკევი უკანასკნელად,  
ჩასხურნულევი დაბარებელი.

სანამ ანსებობს მისი სამშობლო,  
ერთხელ ძლიერი, ამაგი გულით,  
არ უღალატებს მის წმიდა ანდრძის,  
არ დაეცემა სოფლით და სულით.

ერთხელეც იქნება ჩვენც გაგვიდამებს,  
ბედი მუსთაფი, დაუნდობელი  
და ყვავდება ჩვენი სამშობლო  
დღეს მონად ქმნილი, დაობლებული

ბ. დვანიელი.

**წინაილის პასუხი**

მწერ, ვითომ ტურთა სული და გული  
დამიტკებებო იქ, სადაც მე ვარ!..  
მეც ბედნიერად თავს მოხლოდ იქ ვთვლი,  
სადაც შენა ხარ, სადაც შენა ხარ!

მთლად ჩემა აზრი, ჭკუა, გონება,  
მოხლოდ იქით მწევს, იქით მიუყვარ,  
იქა ვგრძნობ სიტკბოს, სამოყვებოს,  
სადაც შენა ხარ, სადაც შენა ხარ!

გასარებელი, აღტაცებული  
ოდეს შენ გხვდავ, მოხლოდ მაშინ ვარ,  
და ამ ქვეყნიურ შეგებს იქ ველი,  
სადაც შენა ხარ, სადაც შენა ხარ!

მზის ბრწყინვალეობა, ბუჩუბის ღვინა  
კანთა მეჭვლისა, თუ იქ არა ხარ,  
და თვით სიცოცხლეც ახარად მიმანს,  
სადაც შენ არ ხარ, თუ შენ არა ხარ!

გ. 6.

**გაზაფხული**

ზამთრისგან ჩაგრულს,  
იმედ დაკარგულს,

აჰა, მეღარა  
კვლავ გაზაფხული,  
ჩემთვისა ისე,  
როგორც სხვებისთვის  
სინაზე მოაქვს  
და სიხარული...

განახლდა გული,  
განახლდა სული,  
და დამიბრუნდა  
სულისა შეება,  
დახეთ, ჩაგრული,  
ტანჯვისა შვილი  
უნეტაროდა  
ალარა კვდება!

დღეს ის მეც მატკობს,  
დღეს ის მეც მალხენს,  
იმედსა მაძლევს:  
„ნუ გეშინია,  
თუ აღარ გწყალობს  
და გდევნის აწყუ,  
მომავალი კი,  
მენდე, შენია.“

ი. მომავალი შვილი

**მუშურბი**

დროა გაუქვით ნამგალი,  
ზური შეგვექმნა სამგალი;  
მოგმკათ, შეგვკონთ, გაუქვით,  
იკურთხოს ამის მარცვალი!..

უზრუნველს არ აქვს უფლება  
ჭამოს სხვის ოფლით ნახანი;  
სად ჩემებრ ბედ-შავს უქაჩავს  
ფუკმისთვის მიამე ჭახანი!..

ჭოჭუნა დაიძახეთ  
დაატრიალეთ მარჯვენა;  
კაი მოსაფლის ზირო ჩანს  
იკურთხოს ამის განება!

მარცვალი შინდის კურკას გაგს,  
სუფთას, როგორც ბრძლია;  
სწორედ მიმისვდა უფალი,  
სარჩენი ბევრი მუფლია!..

შენი მოსავლის ჭირამე,  
შენგანთ მოგული მგელასა,  
რომ სოფლის ჩარჩს, მოგანშეგებსა  
ზასუბი გავცე ყველასა!..

ჭოჭუნა დაიძახეთ  
დროა გაუქვით ნამგალი,  
რადს გვიანობთ ბატკებო  
ზური შეგვექმნა სამგალი!..

ი. ტოფაძე.

**ჭ ა ნ ბ ი**

გამოზაფხულდა... ეს მოიწმინდა,  
ამიუფავილდა რწმენის სამაგე,  
ტეემ გაიდგოდა.. შეიშრიალა—  
ედემს ემსგავსის — სამშობლო მხარე!..

დღეს სულს დაატკობს ფრთხილთ გა-  
ლობს

იმედს ერთგუბა სიცოცხლის ბეგას,  
და გაზაფხულდა... ჩანგს მივეც ხელი —  
და შემოვსძახე ტკბილი სიმღერა!..

გ. ლეონიძე.

**ლაღასტისთვის დანსაჯა!**

(გურიაში გაგანილი\*)

გურიის ერთს სოფელში სცხოვე-  
რობდა ძლიერ ღარიბი გლეხ-კაცი  
პეტრე. თუმცა მუშაობით დღე და  
ღამეს ასწორებდა, წელგებზე ფეხს  
იღვამდა, მაგრამ მაინც სიღარიბის-  
თვის თავი ვერ დაედწია.

„ღიღი ბედნიერი ვიქნებოდი, რომ  
ჩემი ცოლ-შვილის სამყოფს ჭადს  
და ლობიოს მოვიწვდევო“. — ხში-  
რად იტყოდა ხოლმე თვალ-ცრემ-  
ლიანი პეტრე.

აკერ შვილი ექვსი წლისა შეექნა  
და ჯერაც არ მოუნათლავს. ან და  
როგორ უნდა მონათლოს, როცა  
არაფერი გააჩნია. თუმცა ძლიერ  
ღარიბი იყო, მაგრამ თავმოყვარე-  
ობა მაინც ჰქონდა.

— სხვას რომ თავი დავანებო,  
ისე როგორ უნდა მონათლო ბავ-  
შვი, რომ მღვდელსა და დიაკონს  
არაფერი ვაქამოო. „გლეხი კაცი  
სიხარულში დაბერდაო“, სწორედ  
ჩემსედაა ნათქვამი. წელს თუ არა,  
ამ გაისს მაინც ფეხს მოვიღვამ, ვფი-  
ქრობდი, მაგრამ წინ წაწევის მაგი-  
ერ უკან-უკან ვიხევი.

\*) ამისი მსგავსი იმერეთში გაგანილი  
განული წლის გახ. „იმერეთის“ ერთ-ერთ  
ნუმერში დაიბეჭდა.

ასე გადიოდა დრო და ჟამი და შვილი მოუნათლავი ურჩებოდა, ბოლოს, როცა მღვდელმა დაჟინებით მოსთხოვა მონათვლა ბავშვისა, პეტრეც დასთანხმდა.

მისმა მეუღლემ, მართამ, დაიარა სოფელი და ხვეწნა-თხოვნით ძლივს იშოვა: იარი ოყა ღომი, ორი წიწილი, ერთი ყველი და ერთი დოქი ადესას ღვინო. ამაზე მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

გულის ფანქალით მოელოდა პეტრესაც, რომელიც შეძლებულ გლეხთან, გიტოსთან იყო წასული შესახვეწნათ, რათა მას გაებედნიერებინა მათი ოჯახი და ვაჟი მოენათლა.

სალამო ხანს ძლიერ დაღალული და მოწყენილი პეტრეც დაბრუნდა.

— რა ჰქენი, კაცო? — შეეკითხა მართა.

— გიტოიეს დაფსება, იმის ამოგდება, გოგოეს ბავში მყავს მონათლული და იმას ეწყინებაო! აი, იმას გოუწყრა წმიდა გიორგი და წმიდა ნათლიობა, რავაც იმას გოგოიეს არ ეხატებოდეს! ჩვენ ვერაფერში გამოვადგებოდით და იმიზე არ ქნა. ასე ღლეტით შეიძინა მან ქონება, თორემ პატროსანი შრომით რამდენათაც მე გავკეთთი ისე გაკეთებოდა. ჯერ მამასახლისობაში რამდენი გაატყავა, მარა ღმერთი არ შეარგებს არმად შეძენილ ქონებას.

— ეხლა შენ, ერთი ეს მიბრძანე, შენ მართლა, გლახავ ჩობანოვ, ამდენხანს სად იყავი? თუ მან ვარი გითხრა, სხვას ვერ შეეხვეწე? — გაბრაზებით უთხრა ცოლმა.

— მთელი სოფელი შემოვიარე, ყველამ გამაწბილა. ივანიკა გლახასაც ვსთხოვე და წარმოიდგინე იმნაც გამაწბილა.

— აბა რავა მგონია, შენ უბედურო, ღარიბი და საცოდავი, რომ არავის უნდა ეხლა გაიგე? ხვალ დილით ადრე გასწი მეორე სოფელში. იქ არავინ იცის დაწვრილებით ჩვენი სიღარიბე და ეგება ვინმე იშოო ნათლიად. — დააბარა ცოლმა.

მეორე დღეს, ადრე დილით პეტრე გაუდგა გზას. არ ექნებოდა გავლილი დიდი მანძილი, რომ ვილაც ერთი ახალგაზრდა ყმაწვილი წამოეწია. მისალმების შემდეგ გააბეს საუბარი. როცა ამ კაცმა გაიგო პეტრეს გასაქირი უთხრა:

— ამისთვის რა გაწუხებს, წამო, ნათლიობას მე გაგიწევო. — პეტრე გაოცდა. ჯერ მატყუებსო ეგონა. ბოლოს როცა დარწმუნდა მართალს ეუბნებოდა, მოეხვია და უთხრა:

— მითხარ ვინა ხარ, რომ ამისთანა სიკეთეს მიშვრებიო?

— მე მამა ღმერთი ვარ. — მიუგო ახალგაზრდამ.

პეტრე სახტად დარჩა. დიდხანს იდგა თავჩაკიდული, ჩაფიქრებული. აღელვება თან და თან ეტყობოდა. ბოლოს დაარღვია სიჩუმე, და გაბედულად მიუგო:

— გაგიჩენივარ ქვეყნად, ვშრომობ, ვწვალობ, ვმაცადინავობ, წილებზე ფებს ვიდგამ, სიმწრის ოფლს ვღვრი და მიუხედავად ამისა, ლუკმა პური მენატრება. — უკანასკნელი სიტყვა ძლივს დაათავა პეტრემ, რომ ღმერთი უჩინარი შეიქმნა. სასოწარკვეთილი პეტრე, იქვე გზის პირად ჩამოჯდა. თავი ძირს დახარდა და ფიქრებში გაერთო.

— არა, ვინ მჯდა მე იმასთან ლაპარაკს? — ბუტბუტებდა თავისთვის. — რომ გავჩუმებულიყავი, ჩემი ცოლის შარბიდან ხომ მაინც გამოვიდოდი.

— ეი ძმობილო, რომელი გზამი მიყვანს ქალაქში? — შემოსძახა თეთრჯორზე მჯდომმა მგზავრმა, რომელმაც პეტრეს მყუდროება დაურღვია.

— აი ბატონო ეს გზაა. მეც იქით მოვდივარ. ამოიღულღულა პეტრემ. რა მოგივიდა კაცო, რომ თვალეები ჩამოგტირის? პეტრემ ამასაც უნაზო თავისი გასაქირი და ისიც თუ როგორ შეხვდა მამა ღმერთს. მგზავრს გაეცინა და უთხრა:

— თუ მეც არ დამიწუნებ დაგიხსნი ამ განსაცდელისაგან. ეს კი ამ თავიდან იცოდე, რომ მე მთავარანგელოზი ვარ.

პეტრე შიშის ზარმა აიტანა, მაგრამ თავს სძლია და მოახსენა:

— დღეს შევიქენ ბედნიერი და ვიხილე მართლ-მსაჯული. შენ ხარ ერთად-ერთი, რომელიც სწორი გზით დადიხარ. თქვენთან არ გადის არც ქრთამი, არც ძღვენი, არც „პროტექცია და არც შეხვეწნა. თქვენთვის სულ ერთია: მდიდარი, ღარიბი, კოჭლი, ბრმა, ახალ-გაზრდა, მოხუცი. ვისაც ესტუმრები, ვერავითარი ღონისძიებით უკან ვერ დაგახევინებს... თქვენი სისწორის ცელი ყველას თანაბრად ცეცლავს.

— მაშ, რადგანაც არ მწუნობთ, გამიძებ წინ. — უთხრა მთავარ-ანგელოზმა.

პეტრე გამოუძღვა და მიიყვანა სახლში. მეორე დღეს მონათლეს ბავშვი. შეიქმნა ქეიფი, გამხიარულდა მთელი ოჯახი. მთელს თავის სიცოცხლეში ასეთი სიტკობება პეტრეს ოჯახს არ უნახავს. სალამო ჟამს მთავარ-ანგელოზი მოემზადა წასასვლელად.

— სად მიბრძანდებით? — შეეკითხა ნათლიმამა. ჩემთან შენც დალატობ სიმართლეს? ხომ ხედავთ ამდენი ბავშვები მყავს სარჩენი? თქვენი ნათლული მაინც წაიყვანეთ.

ანგელოზმა გაიღიმა, გაიხმო და უთხრა:

— რაკი ასე თავგამოდებით იცავთ სისწორეს, აღიარებ სიმართლეს და გწადია ქვეყნად საძირთლიანობის დამყარება, ამიტომ მე გაგიჩენ შენ სარჩის. ოღონდ, როცა წელში გაიმართო, თვით შენ არ უღალატო სისწორის გზას. მეტმე ამოიღო ჯიბიდან წამლის შუშა, გადასცა პეტრეს და უთხრა:

— ამ შუშაში ჩაასხი წყალი და დაიწყე ექიმობა. თუ მე მიხილო ავადმყოფის თავთან მჯდომი, ის უეჭველად მოკვდება და თუ ფეხებთან — მორჩება. მომაკვდავს არ მიადებინო ამ შუშის წყალი და არც გასამრჯელო აიღო მისგან.

პეტრემ დაიწყო ექიმობა. მალე დიდი ექიმის სახელი მოიხვეჭა. მის

კარზე ყოველ დღე ხალხს ფუს-ფუსი გაჰქონდა. პეტრე ცოტას იღებდა სასყიდელს, მაგრამ ამ ცოტადანაც დიდი სიმდიდრე შეიძინა.

ამ დროს საქართველოს მეფეს ერთადერთი ვაჟი შვილი ავით გაუზნდა. უკუჩრებელ სენს დღეს ან ხვალ უნდა მოელო ბოლო. პეტრეს ექიმობის ამბავმა სასახლემდებლად მიადწია. მიიხმო მეფემ პეტრე და უთხრა:

— თუ ამ შვილს მომიჩვენებ, თავადობას მოგანიჭებ და ჩემი პირველი ვეზირი შეიქნები.

პეტრე სიხარულმა გაიტაცა, მაგრამ, როცა ავადმყოფი იხახულა და ანგელოზი თავისკენ მჯდომი დაინახა მის სიხარულს ფრთები შეეკვეცა. ხედავს რომ ავადმყოფს არაფერი ეშველება და ძლიერ სწუხს. ცოტა არ იყოს საღერდელი აეშალა ვეზირობისა. დიდხანს იჯდა ჩაფიქრებული, თითქოს დედამიწა მხრებზე აწვა და ის რომ გაინძრეს დაინგრევაო.

ბოლოს გიჟივით წამოვარდა, „მოვარჩენო“ შესძახა და უბრძანა მოსამსახურეებს ტახტი, რომელზედაც ავადმყოფი იწვა, მოებრუნებინათ. ამ რიგად მომაკვდავს ფეხები. ანგელოზისაკენ მოუქცია. პეტრე წარსდგა მეფის წინაშე და მოახსენა:

— დიდებულო მეფე, დიდი შრომა დამჭირდა და როგორც იყო აღმოვაჩინე საშუალება. უეჭველად თქვენი ვაჟი განიკურნება.

მეფეს ძლიერ გაუხარდა; გაუმართა ნაღიმი, დიდათ დაასაჩუქრა და ვეზირობაც უბოძა.

დაბრუნდა პეტრე სახლში, რომ თავისი ცოლი და შვილები სატახტო ქალაქში ჩამოეყვანა საცხოვრებლად.

მოდის უღარდელად და მოლიღინებს. მოადწია ერთს კლდესთან და ხედავს ეს კლდე გამოქვამულია და შიგ აუარებელი სანთლები ანთია. პეტრე მიადგა კარებზე და ყურება დაუწყა.

— მობრძანდი, ბატონო ექიმო. — მოახსენა მეკარემ.

— რა არი აქ? — შეეკითხა პეტრე.

— ეს სამოთხე გახლავს, ინებეთ დათვალიერება.

პეტრე შებრძანდა წიგ.

— ეს ამოდენა სანთლები რას ნიშნავს?

— რანდენიც ქვეყნად ადამიანია, იმდენი სანთელი ანთია და რომელიც დაიწვის, მისი პატრონიც მაშინვე მოკვდება. — იყო პასუხი.

— არ შეიძლება ჩემი სანთელი მიჩვენო? — შეეხვეწა პეტრე.

— რატომ არა, აი ეს გახლავს. — მიუთითა ერთს დიდ ღერზე, რომლის გვერდით მეორე სულ პატარა სანთელი ენთო.

— ეს ვილასია, რომლის აღსასრულიც მოახლოებულია?

— ეს მეფის შვილი გახლავს, მაგრამ ვინაიდგან საწოლი შეუბრუნე მე აქ სანთელიც უნდა შევაბრუნო.

აილო მეკარემ პეტრეს სანთელი მეფის შვილის ადგილას დაანთო და იმისი კი პეტრესაზე.

— მაპატიე! — შეჰყვირა პეტრემ. — შეეცდი, არ მეგ... სიტყვა ვეღარ დაათავა, რომ სანთელი ჩაქრა და პეტრე ძირს დაეცა უსულოდ.

ხაზიკა.

### ნ ა წ უ ჯ ე ა ს ტ ი

... რა ვქნა, უველამ მომიძულა, უველას ერთობ გეზიზღებო, და იმითგან შებრალებას — და რა დროს ვედიარსებო!..

მომიძულეთ, ძმებო, უველამ? მომიძულეთ, არ შენაფდის, რაც რომ გინდათ ის მიყავით, გადამტანა ვარ მე ნაფდის!

მთის მწვერვალზე, შენც მოკვდი? რად არ მითხარ რისთვის მტანჯეს; და რ მიხდა... აწ ნუ შეტყუო: — რად დამტანჯეს, რად დამტანჯეს!..

ას მდინარე, რად გაჰქანდი, რად არ მომეც ტკბილად რჩევა?.. ნუ გტანია კლდს ჩამეჭრას შენი კრულვა — შენი წვევა!

შენც მერცხალო, მიმაცოფე?

შორს ჩემგანა გადაჭურინდი, ვერ მოაფხენ გულდატანჯულს; რაცა ფარავს შავი ბინდი!

ქვეყნად გვრვინ შემაშინებს... მე კადვიტან ნაფულ მწარეს, თქვენ გამდევნით? — სხვა სტრუფც მუყვს შეგეტკობო მიშობულ მხარეს!..

### ი. მამავლიშვილი.

#### სამუდამოთ

გარიტრაზე ტურთა იას დავაწანი კოცნა ტკბილი, ზედ ავქარგე სრული ქსელი, ზედ ავქარგე სიყვარული. ის მოვხიბლე, მას წავართვი სამუდამოთ დ.ს.ხული... ის ვერ მიხვდა, მან ვერ იგრძნო ავი ჩემგნით განზრახული.

სალამოს ქამს იას კონა ფრთხილათ გულზე მივიკერე და ზედ კოცნა დავაწანი, სულ სხვა კოცნა, კოცნა მწარე. ია შეკრთა, მწარე კენესა გულს აღმოჰხდა კენესა მწარე ია დაქქნა, ია განხმა და დღეს გლოვობს არე-მარე.

მე ვიცი, მიხარია, დღეს ჩემია გამარჯვება, ის კი გაჰქრა, აღარ არის, აქნობამდის ჩემი ია, მე სხვას ვეძებ, სულ სხვა მინდა, სხვა იისა თაიგული, მაშ, მახსენეთ ვისაც გსურდეს, გამარჯვება დღეს ჩემია.

### ანდრეფმაშვილი.

#### ნუ მანვალე

(გრიშაშვილისებური)


მომე ხელი, ნუ ხარ მკვლელი მონა შენი შემობრალე, ჩემი გული დაისრული შენ გეკუთვნის გენაცვალე!

წყნარი ნაზი თან ლამაზი მომხიბვლელი შენი სახე,

შავთვალა და  
მომხიბლავი,  
მე შენს გარდა ვერსად ვნახე.

—  
რაც მაწვალე  
გენაცვალე,  
გვედრები ის მაკმარე,  
მომე ხელი—  
ჩემი მხსნელი,  
ნუ მაწვალე გამახარე.

ნ. დავითიშვილი.



### მელიქა და საქო

(ს ც ე ნ ა)

**მელიქა.** ვერ უყურებ საქოჯან,  
რა დროება მოვიდა?  
საღლა არის ძველი დრო,  
როგორ გაჰქრა წავიდა!..  
ყველაფერი გაძვირდა,  
გახდა მამა-სისხლათა.  
ეს ცეცხლის მოკიდება  
როდის იყო წინათა?!..  
თევზეული გაძვირდა:  
შამაია, დოშია,  
ორაგულს ვილა ნახავს  
ამ დაწყვეტილ დროშია!..

**საქო.** ნეტავი შენ, მელიქაჯან,  
ეგენი გაგონდება,  
გადაბრუნდა ქვეყანა  
სიკვდილი გველოდება.  
იმ დღეს, რომ მოიღრუბლა,  
ჩამოზნელდა შავათა,  
შიშისგან გამაცვივა  
თავს ვიქვრდი ძალათა.  
მე მეგონა, მელიქაჯან,  
ქვეყნის ბოლო მოვიდა,  
ჩემი სახლი, ქონება,

სულ უბრალოდ წავიდა..  
ვიფიქრე: ვისა რჩება  
ყაირათით ნაშოვნნი—  
ფული, მამულ-დედული,  
მონაგარი, ნაშოვნნი!..  
თუ კაცი არ მოიხმარს,  
ფულია თუ ქონება,  
სულ ამოა ყოფილა  
და არა აქვს შნობა!..

**მელიქა.** მართალს ამბობ, საქოჯან,  
კაცმა თუ კი იცოდეს,  
დღესა სჭამოს და მხოლოდ  
ხვალისთვის არ ფიქრობდეს.  
მაგრამ, იქნებ არ ვკვდებით,  
რათ გავფლანგოთ ქონება?!  
ყველაფერი ფიქრია,  
არ დაგვარგოთ გონება.

**საქო.** მე კი აღა, მელიქაჯან,  
ამერია გონება,  
ვიფიქრე, წარღვნა არის,  
ოღრათ მრჩება ქონება.  
მაინც ხომ გაიგევი,  
რა ამბები მომხდარა?  
მთელ დედამიწის ზურგზე  
ქარ-ბუქები ამტყდარა.  
დაქცეულა სახლები  
ქვეშ ხალხი მოჰყოლია,  
ზოგი შიშით მამკვდარა,  
ზოგი ქარს გაჰყოლია.  
აღელვებულან ზღვები  
ნაპირზე გადასულა,  
დაღუპულა გემები.  
აღარც ერთი წასულა.

**მელიქა.** ეს წარღვნის ნიშანია,  
ანტე-ქრისტე მოსულა,  
აღსასრულის დღე არის  
ქვეყნის უკან წავსლა!..  
მთლად გაფუქდა ქვეყანა  
აღარ არის დანდობა,  
ძმა-ძმას ჰყიდის, მამა-შვილს  
საღლა არის და-ძმობა.  
არც ხატი სწამთ, არც ჯვარი,  
მარხვას ვილა ინახავს,  
ძველ ადათს და შნობას  
ამ ჩვენ დროში ვინ ნახავს?!  
პეტრუზა.

### დღიური

ორშაბათი.

ქარხანებში უხალისო კანტი-კუნ-  
ტობაა. ნომუშავენი „პახმელიები“

არიან. ზოგს თავი სტკივა, ზოგს  
გულს აძმარებს, წინა დღით ჩადე-  
ნილი „საქმენი საგმირონი“ სასახე-  
ლოდ მიჩნიათ. ყოველ წარმო-  
გენაზე სიცილი და ხარხარია...

— მოვიქნე და ზღართან გა-  
ვადინე...  
— ისე დავითვერი, აღარა გამი-  
გია რა...

— სახლში ხელით წამათრიეს...  
— კოლა ტალახში ჩავარდა...  
— ვანუა, კაცო, ვანუა...  
— ერთი სულიერი თავის ცოლს  
უფროსთან ასეირნებდა...  
— სუ, არ გაიგონოს...  
— ჰა, ჰა, ჰა!..— ხა, ხა, ხა, ხა!..

### სამშაბათი.

— რამ უნდა გაიყვანოს დრო...  
— ნისიათ აღარას მენდობიან...  
— ბავშვები მშვივრები მიცდიან...  
**ოთხშაბათი.**

— არა გრცხვენიათ, თქვენ კა-  
ნონიერზე მეტს მუშაობთ, ქუჩაში  
კი უმუშევარი დაეთრევიან...  
— რა ჩემი ბრალია...  
— რომ არ ვიმუშავოთ, დავგი-  
თხოვენ...

### ხუთშაბათი.

საერთო გულცივი, დამცინავი,  
უფროსის ყურადღების მიმქცევი,  
ცხვირში დუღუნი. კმაყოფილება...  
უკმაყოფილება...

### პარასკევი.

აურ-ზაური მატულობს.  
— მე არ შეყოფა...  
— არა მერგება-რა...  
— შინ მისვლა მეძნელება...

### შაბათი.

— ჰა—ტა, ტა, ტა, ტა! — ჰა, ტა,  
ტა, ტა, ტა!..  
— აქედანვე შევაცოლოთ...  
— ზევითკენ თუ ქვევითკენ...  
— ვისი ღვინო სჯობიან?..  
— რამდენს ჩავსხამთ!..  
**კვირა**

ღვინის სარდაფები სავსეა მუშე-  
ბით. ყველა უფროსს ეპატივება.  
ქეიფები... ჩხუბები... ლანძღვა და  
„პარალე“ ერთმანეთშია არეული.  
**ორშაბათი.**

— ჰა, —ტა, ტა, ტა, ტა!..—  
ხა, ხა, ხა, ხა!..

### გ. თემისხვეველი.

# მატყუარა

ვერასე გაჩენილას,  
 „ეკიმბაში“ თანაც,  
 მუდამ გაიძვევრახს,  
 გარეთა თუ შინაც.  
 თურმე წამლებს ურიგებს,  
 შვილი არვის ეუფლოს!  
 ამგვარა საზიზღარო  
 არ უნდა დაიქოფოს?!  
 ასეთი მაგალითი,  
 განა ერთი-ორის?  
 კი ვიტყვი, მის ამოქოფო  
 იმ გვარადვე ღორის.  
 ესე ჩემი მოთხრობა,  
 არ გეგონათ ჭირისა,  
 თურმე რამდენსა სწამლავს,  
 გეფიცებით სწორისა.  
 სულელ ქალებს, რადესაც,  
 მარტოკა ჩახელებს,  
 ატყუებს და ფუფს ართმევს,  
 აბა რა დახელებს?!  
 ბტყუის: შენ ქმარს ისე, რომ  
 გული გაიქარფოსო,  
 მიგნემ ისეთ წამლას,  
 ღვინო შეიჯავროსო..  
 სულელ ქალებს ატყუებს,  
 ასეთი საქციელით.  
 კაცო კი იწამლება  
 წვეულ გადათიქვით,  
 გამარა, მატყუარებო!  
 გვერთ რაღა ჰქენითა,  
 ხუდაჩაფის დადუბავთ  
 მოშხამული კნითა!

შმაგა.

## ჩვენებური აბები

**მუთაისი.** დღეს ქუთაისი არ ჩამოუვარდება პროგრესის მხრივ, არამც თუ ტფილისს, თვით პეტერბურგსაც კი. არ იკითხავთ რითი? აი, მოგახსენებთ. ამ ოთხიოდე წლის წინად თუ ქუთათურებს არც ერთი გაზეთი არ ებადათ, სამაგიეროდ დღეს აქ სოკოებივით მრავლდება გაზეთები. პარტიობა ისე გაჩაღდა ქუთაისში ღამის თვითეულმა კაცმა საკუთარი გაზეთი დაიარსოს. ამისათვის ხარჯს არაფერს ერიდება. საინტერესო სანახავს წარმოადგენს ქუთაისი კვირაობით, როდესაც მორთულ-მოკაზმუ-

ლნი გაიშლებიან ბულვარზე და გაცხარებული კამათია ამა-თუ იმ პარტია-გაზეთის შესახებ. ჩვენთვის მარტო ლაპარაკში მოუცაა ღმერთს ნიქი, საქმით კი, რა მოგახსენოთ...  
 ივანიკა.

**თელავი.** გამოზაფხულდა და თელაველებიც გამოერკნენ ზამთრის ძილისგან — გამოლოდნენ ვარეთ. დიდი მზადებაა „დამა-კავალრებისა“, ჯერ-ჯერობით კი ფრთხილობენ, რადგან ხეებს ჯერ კიდევ კარგა არ გამოუფოთლავთ. თუ ქუთაისში სამსამი გაზეთი გამოდის, სამაგიეროდ იქ არც ერთი, რადგანაც აქ გაზეთის მაგიერობას თვით ჟორიკანა-კაც-დედაკაცები ეწვევიან. სამარისია, ერთმა წამოაყრანტალოს რამე, რომ ამ უშველებელ ქალაქს ელვის სისწრაფით მოედოს.

თელაველი.

**გორი.** გორი ისე დაწინაურდა უვიცობით, რომ დღეს ვერც ერთი ჩვენი დაბა-ქალაქი ვერ შეედრება. ეურნალ-გაზეთების კითხვას ისე გაურბიან გორელები, როგორც ხორველას. სამაგიეროდ აქ გახშირებულია: ლოთობა, ლანძღვა-გინება, ჟორიკანობა და მთელ ღამეებს ბანქოს თამაშს ანდომებენ. 5 მარტს ღამის 12 საათზე, ბანქოს თამაშობის დროს რაფიელ შარაშიძემ დანით დასჯრა ლექსო დებაძე.

მატრახაზი.

**ავლაბარი.** ბ-ნო რედაქტოროს უმორჩილესად გთხოვთ თქვენი „ლახტის“ მწვავე გრეხილით ჩვენსკენაც გამოისიერნოთ და ერთი გვერდები აუწვათ ვინმესოლომონ მკედლიძეს, რომელიც კარგა ხანია ხალხს ატყუებს „ეკიმბაშობით“. ეს ვაჟბატონი დაძრწის ახლო-მახლო სოფლებში და ისედაც დაბეჩავებულ ხალხს უარესად ატყავებს და უხშობს გონებას. ამ მატყუარას „სპეციალისტობას“ უფრო ბნედიანების მორჩენა შეადგენს, რაიცა გამოიხატება ათასნაირ ბალახ-ბულახების გამოჩაწურ წვენი სმაში და შელოცვა-„ჯაღობაზობაში“. დაუწერს ავადმყოფს ქალაღდის ნაგლეჯზე რაღაც გაუგე-

ბარ აბდა-უბდას და ეტყვის: ეს დაახვიე, ცეცხლი წაუკიდე და მისი ბოლი შეისუნთქე და მყისვე განიკურნებიო. სახლშიაც ბევრი გულ-უბრყვილო ხალხი მისდის. მატყუარა ეკიმ-ჯაღობაში სცხოვრობს იქვე ავლაბარში „ეტაპის“ ქუჩაზე.

ტიტკიო.

## ხ ა შ ი

(ქარხანების ცხოვრებიდან.)

რა კარგია დღით ხაში,  
 თითო არუთი კანტორაში,  
 უფლებ ძვალი არ დაგვადგეს  
 ამ ძმობა-მეგობრობაში...  
 დიდხანს ვიუფნეთ ამ სტამბაში,  
 გახეუული თბილ სახანში,  
 ხაზიანმა არ მოგვასწროს  
 ამ ძვალის გამოდრდნაში...  
 მცნებით, რწმენით მივდევთ ლუკ-  
 ლუკს,  
 მანამ ბედი გვიკრავს დუღუკს,  
 მუშას ისე დავაფასებთ,  
 რამდენადც გვიკმევს გუნდრუკს...  
 აბა, ძმაო, გადაგვკარი,  
 ჩლიქსაც თან კბაფი გაგვკარი,  
 თხიზლად, თთხილად, ხაზიენმა  
 უცებ არ გააღოს კარი...  
 ამ ძვაღშია ბეგნი ტვინი,  
 ამშია ჩვენი ღხინი,  
 მაგრამ თუ ძვალი გავტყნეთ,  
 წავკრთმევა თვაღში ჩინი...  
 ჭრელი არის ჩვენი ჯიში,  
 დღე-ღლიური ანგარიში,  
 ფარისეულურ სიუვარულით  
 ხათრი გვქონდეს და თან შიში...  
 შიგნით შური, გული ღაფი,  
 გარედ ჩქრო და ვარაფი,  
 განამტკიცებს ჩვენში ძაღს  
 ეს ხაში და ეს არაფი...  
 ეკალ.

## ფოთის რაინდებს

ფოთის „შავრაზმელნი“ ანკარასა და სპეტაკ „ოპოზიციონერ“ ხმოსნებს და მათ უმანკო კალმონებს პირველად მდებალ საღამოს უძღვნიან და შემდეგ მოკრძალებით ჰკადრებენ: ამ ბოლო ხანებში, თქვენ ბატონებო, ეგრედ წოდებული ოპოზიციის ბანაკის ხმოსნებო და ამ ოპო-

ზიციის მაჩანჩალა „კორესპონდენტებო“, ისე არაფერი დაგიწერიან ფოთიდან, რომ შიგ და შიგ ჩვენი სახელიც არ ჩაჩხიროთ და ავლად-რულოდ არ შეგვაძკოთ. თქვენის ბრწყინვალე და დიდებული აზრით, შავრაზმელნიცა ვართ, ამკლებნიც, დამცემნიც, უვიცნიც და „უტუს ჯარიც“.

რა შავრაზმელობა გავწიეთ, ვის დავეციოთ, ვინ ავიკელით, რაში გამოვხატეთ უვიცობა და როდის ჩავიღინეთ „უტუს ჯარობა“, ამისას არაფერს ბრძანებთ და ვერცარას იტყვიოთ, იმიტომ კი არა ვითომც სულგრძელნი და კაცთ-მოყვარენი იყვნეთ, არამედ იმიტომ, რომ საბუთი და სიმტკიცე ამისი არარა გაგაჩნიათ და ვერც ოდესმე გაიჩნეთ.

ჩვენ არც დრო გვაქვს და არც ხალისი, რომ თქვენ ლანძღვა გინებაში გაგეჯიბროთ. ამისი ბურთიცა და მოედანც თქვენთვის დაგვილოცნია ხელშეუხებლად და საშვილისშვილოდ. მაგრამ იმავე დროს არ შეგვიძლია დავფაროთ ჩვენი გულის ტკივილი, ასეთი ყოვლად დაუმსახურებელი შეურაცხყოფისა გამო.

ჩვენ გახლავართ ფოთის მკვიდრნი, ფოთში მოსახლკარენი და სრულიად ბუნებრივი და უცილობელი უნდა იყოს, რომ ამ ქალაქის ბედითა თუ უბედობით ვიყვნეთ დაინტერესებულნი.

თქვენ ჩვენგან არჩეული ხმოსნები ბრძანდებით, ე. ი. ჩვენი რწმუნებულნი. ამიტომაც, ჩვენი გაგებითა და მიხედვით, ჩვენ, როგორც მარწმუნებლებს, გვგონია, გვაქვს ზნეობრივიცა და იურიდიული უფლება მოგთხოვოთ თქვენის მოქმედების ანგარიში და, თუ საჭიროდ დავინახავთ, შეცდომაზედაც მიგითითოთ.

რატომ უნდა ჰფიქრობდეს ხმოსანი, პოზიციაში იქნება ის თუ ოპოზიციაში, რომ რაკი ხმოსნად იქმნა არჩეული, ხმის ამოდებისა, ლაპარაკისა და მსჯელობის მონაპოვლია მარტოდ-მარტო მას აქვს მინიჭებული. რატომ უნდა ცდილობდეს, რომ

მის გარშემო ყველა და ყველაფერი დადუმებული და დამუნჯებული იყოს!

არა ბატონებო! მართალია თქვენ ხმოსნებად ავირჩიეთ, ხოლო ჩვენი საკუთარი მსჯელობისა და მეტყველების უფლება არ გვიფეშქვშნია. თუ რასმეს ვამბობთ, ვამბობთ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ქალაქისა და, მაშასადამე, ჩვენს ინტერესსაც შეეხება. ხოლო უკეთეს პირდაპირ და საჯაროდ თქმული სიმართლე ვისმე აწიწობატებს, ცუდ გუნებაზე აყენებს და სიბრაზისაგან ლანძღვაგინების მორევში ატოპინებს, ეს ჩვენი ბრალი არ არის. „უტუს ჯარი“ აქ არაფერ შუაშია. „უტუს ჯარის“ დანაშაული მხოლოდ ის გახლავთ, რომ, ასეთი ახირებული კაცები რწმუნებით აღჭურვა და ნდობით შეჰმოსა.

„უტუს ჯარი“ ეცდება მომავალში ეს დანაშაული გამოისყიდოს.

ბატონებო, ჩვენ ვიცით, რომელი კვერცხიდან გამოიჩიკა ახლანდელი „ოპოზიცია“, ვიცით, რომელი საბუდრიდან არიან გადმოფრენილი იმისი მოკირისუფლე „კორესპონდენტები“ და ამისი ცოდნა არც შავრაზმელობას მოასწავებს და არც სხვა რამ ბიწიერებას.

ვინ უნდა დააჯეროთ, ბატონებო, რომ თითქო ჩვენ შავრაზმელნი ვიყვნეთ, ამკლებნი და დამცემნი? თქვენი და თქვენს კალთის ქვეშ შეფარებულ „კორესპონდენტთა“ აკლება ებრაელების აკლებასავით ადვილი და დაუსჯელი საქმე ხომ არ არის? რა გავიჭირდათ, რომ აგრე იმცირებთ თავს? ჩვენ რომ „უტუს ჯარს“ გვიწოდებთ, თქვენ ალბად ალექსანდრე მაკედონელის პირდაპირ შთამომავალი ბრძანდებით და განა საფიქრებელია, ისეთმა უებარ გმირებმა ვიდაც „უტუს ჯარს“ თავი დაარბევოს?! ხოლო თუ ხუმრობთ, ეს თქვენ სიღარბაისლეს არ ეკადრება და მით უმეტეს არ ეკადრება ხუმრობით და მასხრობით მოხსენება სახელი იმ კაცისას, რომე-

ლიც უსამართლობის წინააღმდეგ იბრძოდა...

იქნება თქვენ არც კი იცოდეთ, რომ უტუ თოდუა სამეგრელოს აჯანყების ერთი მეთაურთაგანი იყო და რომ ამ აჯანყებამ სამეგრელოს მართვა განგეობის წეს-რიგი ძირიან-ფესვიანად შესცვალა და უტუ თოდუა დღესაც ახსოვთ სამეგრელოში, როგორც ჩაგრული ხალხის ქომაგი.

მოგეტყვებათ! „არ ცოდნა — არ ცოდნააო“. იქნება ეს ხელოვნურად შეკოწიწებული ოპოზიციის შედგენაც არ ცოდნით მოგივიდათ. ესეც არ ჩაგეთვლებათ ცოდვად, თუ ლანძღვაგინებას და ცილის წამებას თავს დაანებებთ და ამრჩეველთა ნდობას აბუჩად არ მოეკიდებით.

მისა გვიჩია, აზოლან იმნასქ, ელიზბარ თფურია, თედარე ჯაჯუა, გიორგი კირცაქე.

## ლ ე კ ე შ ა

**ლანჩხუთი.** აქაური სკოლის მოწაფეებმა გადასწყვიტეს მოიწვიონ ხელ მეორედ ბ. გელეიშვილი. მან მდაბიოდ და გარკვეულად უნდა განიმეოროს თავისი ლექცია. პირველმა ლექციამ ნაყოფი ვერ გამოიღო. თუმცა ბავშვებმა თანახმად მისი დარიგებისა თავიანთ დედებს კბილე-ბიც გაუსინჯეს, ნაწნავებიც და თვალებიც, მაგრამ შეძლებით მაინც ვერ შეიძულეს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთების დედა ბრუციანიც გამოდგა.

ლექცია დანიშნულია გოქის ხუთშაბათს, ჩითახოს დარბაზში. ბილეთები იყიდება ყველა ახალ გაზდებთან.

**ზამო იმერეთი.** მღვდლები ამტკიცებენ, რომ შიშვილობა იმერეთში ტყუილია, ვინაიდან საკურთხები გასულ წელზე მეტი მოგვდის.

**ს. ჩოჩხათი.** მას შემდეგ, რაც ხალხმა თავისი ნებით ჯამაგირიანი მამასახლისი გაიჩინა: ქათმები გამრავლდნენ, ღვინოს ფასი დაუვარდა, მიკიტნები სულზეა მიმდგარი. ამიტომ გადასწყვიტეს მამასახლისის ჯა-

მაგირი მოუხსნან და უჯამაგრო პირჩიონ. მსურველი ბევრი აღმოჩნდა. სხვებთან ერთად ყუთს უდგამენ ბ. ვ — ს.

**ხაზაკა.**

**სახხეძი.** ცნობილ ბ-ნ „სიკინჯალას“ ამ თვის 25-ში უნდა მოეხდინა ქორწილი, მხოლოდ ხელი შეუშალა ერთმა გარემოებამ: ვერ იპოვა „კლეოპატრის“ მსგავსი ქალი და ამისათვის დიდ-საგოძნობელში პრის ჩავარდნილი ღა ეძებს ისეთ ვისმეს, რომ ამ მდგომარეობიდან დაიხსნან. მკითხველს უმორჩილესად ვთხოვთ, თუ შეხვდეთ ასეთ ქალს აცნობოთ სიკინჯალას შემდეგი ადრესით: **Сикинчальский переулокъ, соб. домъ № 0 противъ „Сиколія“.**

სახხერეში ირსებობს „საყაზანო“ პადვალი, სადაც ბ-ნ „სიკინჯალას“ ჩვეულებრივად განზრახული აქვს ოთხი ბოთლის ჩამოსხმით შეურიგდეს მისამიერ გამოწვეულ საოხუნ ჯე ჟურნალებში „ლევანდებს“ და „მოპარუსკე“ ქალ-ვაყებს.

**ლონტულა.**

**სამსკადიისათვის**

(გამოცანა)

მსხვილ-მსხვილია და შავ-წვეკა, უფესე წამოკედებუელი.

ფესს ბატყით მიაბიჯებს, საღამო აქვს „მეგობრული“, თუ ჩავარდი მის ხეღში, ისე გაქეფტენის, რეგორც მეღა.

ხაღში შესცდა მას დაენდა და მოტუუღდა მასთან უვეღა.

არ გამოდგა იგი რასაც — თვითონ ხაღსა უმტყიცებდა:

კარეს ჯამის გენახის ნაცვლათ თუფე გჯახსა შესდევღდა.

და ამიტომ ესღა „სუღში“ უჩივან იმას უვეღა.

ის ამას არასთრად ავღებს, არხეინათ დადის ხეღა,

იქნებ „ჯახსტი“ მიეშვეღას და აძახოს „ხეღა-ხეღა“.

**შენც-ქეცე**

**უხს -სიტყვივის ახსნა**

ბაქი-ბუქი — ქართველი.  
ქეცი — ქართველთა სენი.  
გადაგვარება — ქართული მოღა.  
გაძლეუტები — საგირავნო თამასუქი.  
უანწი — მრავლობითი რიცხვი.  
ცხსა — გორგიჯანოვის პირველ-დაწყებითი სამრველო სკოლა.

კბიჯის სხიჩქნი — გადაგირავებული თავადი.

კონცენტრაცია — ერევნის გუბერნიის გამდიდრება.

კაზრდეუტარება — ტფილისის მაზრე ბის გამოკლება.

იმედი და ოცნება — პური ჩენი არსობისა.

ქართველი სტუდენტი — ადესელთა ცხვირის ქავილი.

კლეხი — მოწმე.

მუშა — კალაღებულთა უნაგირი.

**მუშა-მეჩია.**

**ჩხანი ფოსტა.**

**შონიხ.** პატარა ფელერონი „სახე სარკეა სულისა“, სწორედ ეს თქვენი ნაწარმოებიც სარკეა თქვენი მწერლობის ნიჭისა. ამისათვის სარედაქცო კალათაში განიჯვენებს.

**მეგრელიშვილს.** არავითარი პირობებს დადება არ შეგვიძლიან. თუ მოგვწვდით მასალებს და ივარგებს დავბეჭდავთ.


**ნ. გურჯაანელს.** არ დაიბეჭდება.

**გ. სუსნიშვილს.** თქვენი ლექსი „დასტები, დასტები“ სარედაქცო კალათაში სტკეება.

**შახახველს.** „თქვენი დღიურა“ უმჯობესია „ბრახნია გახეოს“ გაუგზავნოთ, ის მაგარიგებთ — შენ და შენ თამროს.

**ბ. სკამკაჩაიშვილს** დიდი ნიჭი გეტყობათ პოეტობისა. მაგალითად ნათლად გამოსტკივის დიდებული პოეზია თქვენა ლექსში:

ვის მოუთხრა ჭირი ჩემი გულსა ცეცხლი სადებარი, მოყვარესა ვ ნ დაუგმოს, საქმე საბრძნით საქებარი. ეს ოთხი სტრიქონიც საკმაჩისია, რომ პოეტთა სიაში ჩაეწეროთ.



მშრომელი დედა არა მშრომელი დედა და მისი ნაყოფი. | ქარაფშუტა დედა და მისი ნაყოფი.

**სურათების გამოფენაზე.**

— მამა, რა კარგი მამალია დასატული!...  
— მამალი კი არა შეილო „მლიპაპა“.